ოქმი №2

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის მეორე სხდომისა

ქუთაისი, 2022 წლის 25 იანვარი, 14 სთ

სხდომის ჩატარების ადგილი:
კომისიის სამუშაო ოთახი, N401 (საკრებულოს სხდომათა დარბაზი)
ქალაქი ქუთაისი, რუსთაველის გამზირი N3

სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს საფინანსო–საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე, ბატონი **ა.კოპალეიშვილი.**

ესწრებოდნენ: საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის წევრები: **მ.ნიჟარაძე, ბ. ბრეგაძე, ზ.მამასახლისი, გ.კილაძე, გ.ბასილაძე, ბ.მახარაძე, ლ.სანიკიძე, მ.სიმონიძე, დ.ბახტაძე**

სულ: კომისიის 10 წევრი.

არ ესწრებოდა: გ.მანაგაძე, დ.ფხაკაძე, რ.ქვაჩაკიძე,

სხდომის მუშაობაში მონაწილეობდნენ: ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ბატონი ი.შენგელია, თავმჯდომარის მოადგილეები, ბატონები გ.ბასილაძე, ტ.ლილუაშვილი და თ.ნადირაძე, აგრეთვე ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო პოლიტიკისა და სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის უფროსი ბატონი დ.ნიშნიანიძე.

კომისიის სხდომა გახსნა კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა **ა.კოპალეიშვილმა** და წარმოადგინა კომისიის სხდომის შემდეგი **დღის წესრიგი:**

1. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის №5 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

   /ა.კოპალეიშვილი, დ.ნიშნიანიძე/

2. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის 2022 წლის სამუშაო გეგმა-გრაფიკის დამტკიცების შესახებ“

   /ა.კოპალეიშვილი/

3. მიმდინარე და სხვადასხვა საკითხები

კენჭი ეყარა დღის წესრიგს და ერთხმად დამტკიცდა.

კომისიის თავმჯდომარე **ა.კოპალეიშვილი:** „წარმოდგენილია პირველი ცვლილება ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტში, რომელიც ძირითადად რგფ-დან თანხების მიღებამ და ნაშთის განაწილებამ განაპირობა. მინდა საკითხების დეტალურად წარმოდგენის მიზნით სიტყვა გადავცე ბატონ დავით ნიშნიანიძეს.

1. მოისმინეს: ქუთაისის მუნიციპალიტეტის საფინანსო პოლიტიკისა და სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის უფროსის ბატონი **დ.ნიშნიანიძის** ინფორმაცია 2022 წლის ბიუჯეტში

პირველი ცვლილების შესახებ. მან აღნიშნა, რომ ბიუჯეტის შემოსავლითი ნაწილი იზრდება 16 181,5 ათასი ლარით. წარმოდგენილ ცვლილებას საფუძვლად უდევს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 9442,2 ათასი ლარის გამოყოფა. ამასთან, განაწილდა 2022 წლის 1 იანვრისათვის ხაზინის ერთიან ანგარიშზე არსებული ნაშთი (საბიუჯეტო სახსრები) – 3652,3 ათასი ლარი, 1,5 მლნ. ლარით გაიზარდა არაწარმოებული აქტივების გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი და განხორციელდა შიდამუხლობრივი ცვლილებები. პირველი ცვლილების შედეგად ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი ასიგნება ორგანიზაციული კლასიფიკაციის მიხედვით შეადგენს 106 063,3 ათას ლარს.

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს:

კომისიის თავმჯდომარე **ა.კოპალეიშვილი:** „ბიუჯეტის ცვლილების გამარტივებული ფორმის პირველ პუნქტში დაფიქსირებულია 750 ათასი ლარი. ეს რა თანხაა, რომ განმარტოთ“

დ.ნიშნიანიძე: „ბიუჯეტის დაგეგმვასთან, მის ფორმირებასთან დაკავშირებით ბოლო ორი წელია მიმდინარეობს მთავრობის განკარგულების შესრულება. არსებობს მეთოდოლოგია და დანართები, რომლის მიხედვითაც უნდა შეგვედგინა ბიუჯეტი. ჩვენ ეს მოვახერხეთ და ქუთაისმა მიიღო 750 ათასი ლარი, რომელიც დეკემბრის ბოლოს ჩამოგვერიცხა“.

კომისიის თავმჯდომარე **ა.კოპალეიშვილი:** „მისასალმებელია ასეთი წარმატება, როცა 26 მუნიციპალიტეტს შორის ყველაზე მეტი თანხა ქუთაისს ხვდა წილად და მადლობა ამისათვის თქვენს სამსახურს“.

კომისიის წევრი **ბ.ბრეგაძე:** „მეგამარტივებული ფორმის ამობეჭდვა ვერ მოვახერხე, არ მოგიციათ ამობეჭდილი სახით და მაინტერესებს, ნაშთი - 3652 ათასი ლარი როგორ განაწილდა?“

დ.ნიშნიანიძე: „ეს ძირითადად მიემართა შარშანდელი დაუსრულებელი პროექტების დასასრულებლად“

კომისიის წევრი **ბ.ბრეგაძე:** „რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, პროგრამებს ნაშთი არ მორჩენია. რგფ-ის თანხა შეიძლება კიდევ დაგვემატოს?“

დ.ნიშნიანიძე: „სავარაუდოდ მეორე ნაწილი კიდევ დაგვემატება“

საკრებულოს თავმჯდომარე **ი.შენგელია:** „მეორე ტრანშს რგფ-დან სავარაუდოდ გაზაფხულზე მივიღებთ“.

კომისიის წევრი **ბ.ბრეგაძე:** „ნაშთი რომელ პროექტებს დააფინანსებს, არის ამის ნუსხა?“

დ.ნიშნიანიძე: „დიახ, არსებობს და მოგაწვდით“.

კომისიის წევრი **ბ.ბრეგაძე:** „უკვე ახსენეთ 750 ათასი ლარის შესახებ და იქნებ უფრო დაგვიკონკრეტოთ“.

დ.ნიშნიანიძე: „ეს პროექტი USAID-ის ფარგლებში გაკეთდა საქართველოს მთავრობასთან ერთად. იყო გარკვეული მოთხოვნები ბიუჯეტის ფორმირების წესთან და მეთოდოლოგიასთან დაკავშირებით, რაც ჩვენ შევძელით და შესაბამისად, ქალაქმაც თანხა მიიღო“.

კომისიის თავმჯდომარე **ა.კოპალეიშვილი:** „ცვლილების მასალა წინასწარ დაგვირიგდა. თუ დამატებითი კითხვები არ გვაქვს, წინადადებით შემოვდივარ საბიუჯეტო ცვლილებას 2022 წლის ბიუჯეტში კენჭი ვუყაროთ“.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ საკითხს: **მომხრე** 7, **თავი შეიკავა** - 3.

დაადგინეს: მხარდაჭერილ იქნას წარმოდგენილი ცვლილებები.

2. **მოისმინეს:** კომისიის თავმჯდომარის **ა.კოპალეიშვილის** ინფორმაცია კომისიის 2022 წლის სამუშაო გეგმა-გრაფიკის შესახებ. აღინიშნა, რომ ეს არის თვეების მიხედვით განაწილებული სამუშაო ამ კომისიისა ცალკეული სამსახურების, ააიპ-ების და შპს-ების მიხედვით.

კომისიის წევრი **ბ.ბრეგაძე:** „კარგი იქნება თუ ადგილზე ვნახავთ მდგომარეობას, განსაკუთრებით შპს-ებში“

კომისიის თავმჯდომარე **ა.კოპალეიშვილი:** „აუცილებლად ვნახავთ. თუ არ არის დამატებითი კითხვები, კენჭი წარმოდგენილ საკითხს ვუყაროთ“.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ საკითხს: **მომხრე** 10, **წინააღმდეგი** - არც ერთი.

დაადგინეს: მხარდაჭერილ იქნას წარმოდგენილი დოკუმენტი.

ამით, საკრებულოს კომისიის მეორე სხდომამ მუშაობა დაასრულა.

ქ.ქუთაისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს საფინანსო–საბიუჯეტო
კომისიის თავმჯდომარე **ამირან კოპალეიშვილი**